აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 3

24/07/2016 წელი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის პარტიისა და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 35-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, **ვადგენ:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ცენტრისტები“, სახელწოდებით - **„ცენტრისტები“ (ბედუკაძე-ხაჩიშვილი)** და მისი წარმომადგენელი - **ვლადიმერ ბედუკაძე.**

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე